ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 13 ნოემბრის სხდომის

ოქმი #8

2021 წლის 13 ნოემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა კომპიუტერული მეცნიერების ქართულ-ფრანგული საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი ა.ელიზბარაშვილი, დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. ვ.ტრაპაიძე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. თ.ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. კომპიუტერული მეცნიერებების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო საგანმანათლებლი პროგრამის რეაკრედიტაციაზე წარდგენა;
3. იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ;
4. პოსტ-დოქტორანტურაში მიღების შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. შესაბამისი დოკუმენტები წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს წარუდგინა განსახორციელებელი ცვლილებები **მათემატიკის** საბაკალავრო და **კომპიუტერული მეცნიერების** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში. კერძოდ, გასწორდა ტექნიკური ხასიათის შეცდომები სილაბუსებში და გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები/რჩევები (იხ. დანართები 1.1).

   გარდა ამისა, ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა **ეკოლოგიის** საბაკალავრო პროგრამისა და **გამოყენებითი ეკოლოგიის** სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი განახლებული შემადგენლობით (იხ. დანართი 1.2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.გამყრელიძემ, ო.მუკბანიანმა, ბ.თუთბერიძემ. პროფ. ნ.შათაშვილის ინიციატივით კომიტეტს დაემატა

ასისტენტ პროფესორი მ.გოჩიტაშვილი, ხოლო პროფ. ო.მუკბანიანის ინიციატივით - ასოცირებული პროფესორი ი.ჩიკვაიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

ა) პროგრამული ცვლილებების შესახებ;

ბ) **ეკოლოგიის** საბაკალავრო პროგრამისა და **გამოყენებითი ეკოლოგიის** სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ორივე საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს პროგრამული ცვლილებები **მათემატიკის** საბაკალავრო და **კომპიუტერული მეცნიერების** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 1.1);

ბ) დამტკიცდეს **ეკოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის და **გამოყენებითი ეკოლოგიის** სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაკა მურვანიძე - პროფესორი;
2. ლია მაჭავარიანი - პროფესორი;
3. ბეჟან თუთბერიძე - პროფესორი;
4. ვაჟა ტრაპაიძე - ასოცირებული პროფესორი;
5. გიორგი მახარაძე - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;
6. იოსებ ჩიკვაიძე (ასოცირებული პროფესორი);
7. სიმონ წერეთელი - ემერიტუს პროფესორი;
8. მალხაზ გოჩიტაშვილი (ასისტენტ პროფესორი);
9. მანანა ხაჩიძე - პროფესორი;
10. გურამ ქუთელია - ასოცირებული პროფესორი;
11. სოფიო ვეფხვაძე - კურსდამთავრებული;
12. ლადო ფოფხაძე - კურსდამთავრებული;
13. ლელა ფერაძე - კურსდამთავრებული;
14. ბარბარე ავალიანი - სტუდენტი;
15. მაია გოდეძიშვილი - სტუდენტი;
16. თამარ ჯოლოხავა - დოქტორანტი;
17. ნიკა მესხი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი;
18. ნინო თხილავა - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
19. ნატო სულთანიშვილი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
20. გიორგი ბრეგვაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
21. თეა ზარნაძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - კომპიუტერული მეცნიერებების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო საგანმანათლებლი პროგრამის რეაკრედიტაციაზე წარდგენა. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ რ.ხომერიკმა. მან

საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული პროგრამის წინაისტორია. ამჟამად კომპიუტერული მეცნიერებების ქართულ-ფრანგული საბაკალავრო პროგრამა განხორციელდება ევრის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (Université d'Évry Val d'Essonne), შესაბამისი ხელშეკრულებაც უკვე გაფორმებულია. აღნიშნული უნივერსიტეტი არის პარი საკლეს უნივერსიტეტის (Université Paris-Saclay) ჯგუფის წევრი უნივერსიტეტი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, მ.ხაჩიძემ, ო.ფურთუხიამ, გ.სირბილაძემ, ა.გამყრელიძემ, თ.დავითაშვილმა, ი.ხუციშვილმა, ე.ნადარაიამ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. პროფ.მ.ხაჩიძემ საბჭოს წევრებს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა პროგრამის შესახებ. სილაბუსები შეთანხმებულია ევრის უნივერსიტეტთან, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სწავლა განაგრძონ აღნიშნულ უნივერსიტეტში, ხოლო კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ორმაგი ხარისხი. ნაწილ საგნებს წაიკითხავენ ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორები. კამათი გამოიწვია ერთ-ერთი კურსის დასახელებამ, რომელიც სასურველი იქნება, თუ დაზუსტდება, კურსის სილაბუსის გათვალისწინებით. განმარტება გააკეთა აგრეთვე საბჭოზე პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით მოწვეულმა პროგრამის კოორდინატორმა ა.ელიზბარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კომპიუტერული მეცნიერებების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო საგანმანათლებლი პროგრამის რეაკრედიტაციაზე წარდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო საგანმანათლებლი პროგრამის რეაკრედიტაციაზე წარდგენის საკითხი (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა დოკუმენტი ანაზღაურების განაწილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტი წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, ნ.შათაშვილმა, ი.ხუციშვილმა, ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოკუმენტი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ანაზღაურების შესახებ. (იხ. დანართი 3).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - პოსტ-დოქტორანტურაში მიღების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. შესაბამისი დოკუმენტი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 4.1). ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტმა უნდა

გამოაცხადოს მიღება 2 ვაკანსიაზე პოსტდოქტორანტურაში, რომლის დებულება განსაზღვრულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 მაისის #43 დადგენილების დანართი 1-ით (იხ. დანართი 4.2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.გამყრელიძემ, გ.სირბილაძემ, ო.ფურთუხიამ, ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა, თ.კერესელიძემ, ო.მუკბანიანმა, დ.ძიძიგურმა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ისეთ მრავალდარგოვან ფაკულტეტზე, როგორიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტია, ორი ადგილი ცოტაა. თუმცა, როგორც ქალბატონმა დ.ძიძიგურმა აღნიშნა, იმ მოთხოვნების შესრულებას, რასაც პოსტდოქტორანტს უყენებენ, და სამეცნიერო კვლევის წარმოებას ექსპერიმენტულ მეცნიერებებზე დამატებითი დაფინანსება დასჭირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პოსტდოქტორანტურაში 2 ადგილზე მიღების გამოცხადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ა) გამოცხადდეს პოსტდოქტორანტურაში მიღება (ფაკულტეტზე 2 ადგილი). საბუთების მიღება იწარმოებს 2021 წლის 1 დან 15 დეკემბრის ჩათვლით. საბუთების ჩამონათვალი იხ. დანართში 4.1;

ბ) კანდიდატების შერჩევის მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- პროფ. გია სირბილაძე
- პროფ. დავით კერესელიძე
- პროფ. ომარ მუკბანიანი
- პროფ. ალექსანდრე შენგელაია
- პროფ. დიანა ძიძიგური
- ასოც.პროფ. ილია თავხელიძე
- ასოც.პროფ. კარლო აქიმიძე
- ასისტ.პროფ. ლევან შოშიაშვილი

5. დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხებში წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები:

ა) ფიზიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების თემების დამტკიცება (ვ.ტრაპაიძე);

ბ) საკვალიფიკაციო ჩარჩოში ცვლილებების შესაძლებლობის შესახებ (თ.ჭელიძე);

ა) მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ფიზიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების თემების ჩამონათვალი.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფიზიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების თემების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფიზიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომების თემების ჩამონათვალი (იხ. დანართი 5.1).

ბ) მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა თ.ჭელიძემ საბჭოს წევრების, ძირითადად კათედრის გამგეებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების, საყურადღებოდ გამოაცხადა, რომ გაჩნდა შესაძლებლობა წარვადგინოთ სასურველი ცვლილებების ნუსხა ამჟამად მოქმედ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესატანად. როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, ფაკულტეტის პროფესორებს ჯერ კიდევ 2017 წლიდან სურდათ ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ცვლილებების შეტანა, მოამზადეს სათანადო წერილიც, თუმცა მაშინ ცვლილებების შეტანის საშუალება მათ არ მიეცათ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ, მ.ხაჩიძემ, ო.მუკბანიანმა, დ.ძიძიგურმა, ნ.დორეულმა, ნ.კოშორიძემ. ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ ცვლილებები შეიძლება წარვადგინოთ ადრე მომზადებული დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც თავის დროზე საფუძვლიანად მომზადდა და შეჯერებული იყო. შესათანხმებელი იქნება მხოლოდ ინტერდისციპლინური ბიოფიზიკის საკითხი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად აღნიშნული ინფორმაცია და გასაგზავნად მომზადდეს წერილი ამჟამად მოქმედ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესატანი სასურველი ცვლილებების ნუსხით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი